ჷს
F550 ~ 7472
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
9
მარტი
№29 (10422)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

პრობლემა: საზოგადოებრივი რეზონანსი

## დროა, შევჩერდეთ

5 მარტს საქართველოს ტელევიზიის პროგრამა „მოამბით" გადმოიცა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა. გაფაციცებით ვუსმენდი საუბარს, რომელშიაც დამაჯერებლად, მყარი არგუმენტების მოხმობით დაიხატა ამჟამად საქართველოში არსებული რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. გამომსვლელმა ობიექტური შეფასება მისცა საკითხებს, რომლებიც ასე აღელვებს, მოსვენებას უკარგავს ჩვენს ხალხს. აბსოლუტურად ვეთანხმები სიტყვებს იმის თაობაზე, რომ სამაჩაბლოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა ისევ და ისევ მოლაპარაკებით, კეთილგონიერებით უნდა გადაწყდეს და არა იარაღის ენით. ძმათმკვლელი ომი, როგორც საერთო, ისე ყოველი ჩვენთაგანის პირადი ტრაგედიაა,—აღნიშნა ბატონმა ზვიადმა. და ძნელია ამას არ დაეთანხმო. ოსები ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით ამ ბოლო 70 წლის განმავლობაში არაერთხელ იყვნენ გაბრიყვებულნი ბოროტი მესამე ძალის მიერ, რათა ევნოთ ქართველებისთვის. მაგრამ ამისგან რაც გამოვიდა, თვითვე კარგად უწყით. ახლა ასეთი ვერაგული ჩარევისა და წაქეზების პოლიტიკა ცენტრის მიერ კულმინაციამდეა მიყვანილი. სწორედ ახლა უნდა გვეყოს ქართველებს და ოსებს ისტორიული ალღო, საერთო კატასტროფის თავიდან აცილების გამჭრიახობა და ჭკუა. ვიმედოვნებ, ბოლოს და ბოლოს ასეც იქნება.

ე. გეთია,
ჩვენი კორ.

## გვეყო ამდენი სისხლი

ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლამ დამაკმაყოფილა. იგი გახლდათ კონსტრუქციული, მიმდინარე მოვლენების საღ შეფასებაზე დაფუძნებული. ყველაფრიდან ჩანს, რომ ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმპერიული ძალების მიერ საკმაოდ არის დამუშავებული. ექსტრემისტები ყოველნაირად ცდილობენ ოს ხალხს შორის უნდობლობის ცეცხლი კიდევ უფრო გააღვივონ. მაგრამ იმას კი არ უფიქრდებიან, რომ უფსკრულისკენ მიჰყავთ საკუთარი ხალხი. ცა გარკვევით ეუბნება ძათ საქართველოს მთავრობა, რომ მათ სიცოცხლეს ძირძველ ქართულ მიწაზე არაფერი არ ემუქრება. მათ ყოველნაირი პირობები შეექმნებათ კულტურული ავტონომიისათვის, თავიანთი სოციალური, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის. ოღონდ ამისთვის საჭიროა პატივს სცემდე საქართველოს, მის კანონებს, ხალხს, ენას, კულტურულ მემკვიდრეობას.

ოსები უნდა შეეგუონ იმ ისტორიულ კანონზომიერებას, რომ ეგრეთწოდებულ, დროშოვმულ ავტონომიურ ოლქზე საუბარი წარსულის კუთვნილებაა. ეს ვინმეს ერთპიროვნული ახირება კი არ არის, არამედ მოვლენათა განვითარების დიალექტიკური ლოგიკის ენაზე აღსაქმელი გარდუვალობაა. თავის გამოსვლაში ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გააფრთხილა ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები, რომ საერთო ენის გამონახვით შესაძლებელია დატრიალებული ტრაგედიის ჩაცხრობა. ეჭვი არ მეპარება,—რომ ყოველივე ამას კეთილი დასასრული ექნება.

დ. შელია,
ექიმი.

## მოთმინებით ვაშენოთ ქვეყანა

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლაში ხაზი გაესვა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ურთიერთ მიმართების პრობლემას. ყველანი ვართ მოწმენი რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილი მორალურ-პოლიტიკური კლიმატისა. ხალხი გაღიზიანებულია. ამას ემატება სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები. და ასეთ დროს ფიქრი ძალთა დაპირისპირებაზე, სამიშ კონფრონტაციაზე, ზღვარამდე მისულ განხეთქილებაზე სიკეთის მომტანი არავისთვის არ არის. ახლა საჭიროა თანადგომა, მიმტევებლობა, ერთიანი ძალით თავის დაცვა გარედან მოსალოდნელი შემოტევისაგან. საჭიროა დავივიწყოთ ყველა საწუხარი, შუღლი და წყენა და ხელიხელჩაკიდებულებმა ვაშენოთ ახალი საქართველო. ამას კი დრო უნდა, მოთმინება, გონივრული მოქმედება სჭირდება. სწორედ ამაზე მიგვანიშნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ. ყველას გასაგონად ითქვა, რომ მუშავდება კანონი მოქალაქეობის, მიწის შესახებ. მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ. ღრმად მოფიქრებული, აწონილდაწონილი მოქმედებით უნდა ვუწამლოთ ჩვენს წყლულებს.

დიახ. ყველაფერს ერთბაშად ნუ მოვითხოვთ. ჩვენ ხომ საოცრად მძიმე მემკვდრეობა გვერგო. მკითხველებს მინდა მოვაგონო კენედის ცნობილი სიტყვები: არ მოსთხოვო შენს ქვეყანას, რას გააკეთებს შენთვის. მკითხე შენს თავს, რას გააკეთებ ქვეყნისათვის. და ამას ამბობს პრეზიდენტი 1960 წელს, როცა ამერიკას ჰქონდა გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდი.

დ. სალია,
ჩვენი კორ.

## შრომა-გარჯით ავაღორძინოთ

• ყველანი ვხედავთ, თუ რაოდენ ძნელ პირობებში უხდება მოღვაწეობა საქართველოს უზენაეს საბჭოს. ჩვენს ხალხს ყოველი მხრიდან მოეძალა მოშურნე და ავის მდომელი. უმოკლეს დროში გადაჭრას მოითხოვს უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. იმდენად მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, რომ ყოველივე ამის ერთბაშად აღდგენა შეუძლებელია.

ძალზე მტკივნეული საკითხების მოგვარება უწევთ ადგილობრივ პრეფექტურებს. ჩვენ ვხედავთ მთხოვნელთა გრძელ რიგებს ახალი ხელმძღვანელობის კარებთან. ვინ რას ითხოვს და ვინ რას. რატომღაც ყველას სურს ათეულ წლობით გადაუწყვეტელი, სხვადასხვა ბიუროკრატიული მიდგომების, თუ მავან მიზეზთა გამო დაყოვნებული საკითხები ხელის ერთი დაკვრით მოგვარდეს. არ ხერხდება ეს ასე. და ჩვენი მოქალაქეების შეგნება და ობიექტურობის გრძნობა იმ დონემდე უნდა ავიდეს, რომ ყველაფერი ეს სწორად გაიგოს.

დიახ. ბევრი ნაკლი და გაჭირვება გვერგო წარსულიდან მემკვიდრეობით. მაგრამ ამათ შორის ყველაზე მეტად მაფიქრებს ის, რომ მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა დაივიწყა ზნეობრივი ნორმები, სინდის-ნამუსიანობის მამა-პაპური ტრადიციები და ხელი მიჰყო უკეთურ საქმეებს, სძრახ გზებსა და საშუალებებს. ამაში რათქმა უნდა, მას ხელი შეუწყო სრულიად მოუწესრიგებელმა ყოფამ, მუშაობის ავტორიტარულმა სისტემამ, კორუფციამ და განუკითხაობამ ყველა სფეროში. არ უნდა გაგრძელდეს ეს ასე. ყველამ ერთად, მთავრობამ და ხალხმა ერთიანი ძალისხმევით უნდა დავძლიოთ ცხოვრების მანკიერი წესი. შევიყვაროთ საქართველო და ერთმანეთი, მთელი არსებით გავითავისოთ მამულის სალხენსატკივარი და მუხლჩაუხრელი შრომით ავაღორძინოთ იგი.

წ. არნანია,
ჩვენი კორ.

## მჭიდრო ვადებში

ამ დღეებში ჩატარდა კახათის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრება, რომლის მონაწილეებმა ფართოდ განიხილეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის ქ. ჯგუშიას მიერ წარმოდგენილი საანგარიშო მოხსენება გასულ წელს გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

კრებაზე უმთავრესი ყურადღება დაეთმო სამომავლო მიზნებსა და ამოცანებს. საქართველოს დღეს ისე უჭირს, როგორც არასოდეს. და აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას თითოეული მშრომელის სულიერმა მიზანსწრაფვამ თავისუფლებისაკენ და მკლავდაკაპიწებულმა, პროფესიულმა გარჯამ,—აღნიშნეს ორატორებმა.

კოლმეურნეობის ეკონომიკურ ძლიერებას მეჩაიეობა განაპირობებს. ამიტომ მიმდინარე წელს კახათში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლის ამაღლებას. კერძოდ, მონიშნულია პირველი ხარისხის აყვანა 60 პროცენტამდე.

ხაზგასმით ითქვა, რომ საგაზაფხულო სამუშაოები უცილობლად უნდა ჩატარდეს ვადებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების ზუსტი დაცვით, ყურადღების მაქსიმუმი დაეთმოს თესვის კამპანიას. კახათელებს ნავარაუდევი აქვთ წლეულს აწარმოონ 330 ცენტნერი რძე, 1500 ცენტნერი ხორცი. მეურნეობის ყველა დარგში სრულყოფილად დაინერგება იჯარა.

ვ. ჯღამაია.

## რეფერენდუმი ახლოვდება

17 მარტი სსრ კავშირში საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების დღეა, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით კატეგორიული უარი განაცხადა მონაწილეობა მიიღოს კრემლის მიერ წინასწარგათვლილ იმპერიის სასარგებლო კამპანიაში. სამაგიეროდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების დღეს 31 მარტს—საქართველო თვითონ აწყობს რეფერენდუმს, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყველა ეროვნების წარმომადგენელმა.

რეფერენდუმის მიზანია გაირკვეს საქართველოში მცხოვრებთა რამდენ პროცენტს სურს ჩვენი რესპუბლიკა იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

ახლოვდება 31 მარტი. ყოველი პატრიოტი ზუგდიდელის ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობა: პრობლემები ახლებურ პრიზმაში

# განწყობას ფაქტორად გათვალისწინებით

სოფლის მეურნეობაში დაგროვილ პრობლემებს სიმწვავე თუ ემატება, თორემ არ აკლდება. ბუნებრივია, განახლების პროცესს ცალსახად ვერ მიუდგები. ვინც მოზღვავებულ სოციალ-ეკონომიკურ საკითხებს სწორ გასაღებს მოუძებნის, სხვაზე ადრე მოიმკის შედეგებსაც.

ზუგდიდის მეურნეობაში დაკვირვებით აანალიზებენ ამჟამინდელი სიძნელეების მექანიზმს. და ეძებენ გზებს ვითარების უკეთესობისაკენ მოსაბრუნებლად. აი, რა განაცხადა ჩვენთან საუბარში კოლექტივის ხელმძღვანელმა ე. ნემსაძემ.

—აღწევთ თუ არა რეალურ ძვრებს მეურნეობის ახლებურად გარდაქმნის გზაზე?

—არ მინდა მკითხველებმა ხმამაღალ ნათქვამად ჩაგვითვალოს ზოგიერთ მომენტზე აქცენტის გაკეთება. ჩვენმა მშრომელებმა იმთავითვე სწორი გაგება გამოავლინეს იმ სიახლეებისადმი, რომლებიც ახალი მთავრობის ძალისხმევით იმკვიდრებს ადგილს ჩვენს ყოფაში. მთლიანად ვუჭერთ მხარს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ აღებულ კურსს. ყოველი მუშაკი, რა სიმძიმის ტვირთსაც არ უნდა ეზიდებოდეს, მთელი შეგნებით ითავისებს ახლებურ მოთხოვნებს. ვემხრობით შრომის ორგანიზაციის პროგრესულ სტრუქტურებზე თანდათანობით გადასვლის პრინციპს, რამაც უეჭველად უნდა გააქტიუროს მშრომელი კაცის განწყობის ფაქტორი. მეტი ნაყოფიერებით ღწვა-გარჯა, სამუშაოსაგან გაუცხოების დაძლევა, საქმისადმი ერთგულება, პერსონალური პასუხისმგებლობა.

—დღეს ყველას კარგად ესმის, რომ მატერიალური სტიმულია ის ბერკეტი, რამაც წარმოებასთან და შემქმნელთა შორის ურთიერთობის სრული ჰარმონია უნდა დაბადოს. როგორ ახერხებთ ამის მიღწევას?

—წარმოების ნებისმიერი რგოლისათვის დამოუკიდებელი და ინიციატივიანი მუშაობის პირობების შექმნა ამოსავალ პუნქტად რჩება. ამ სფეროში ბევრი თავის მტვრევაც არ არის საჭირო. ორიენტირად გვაქვს მთავრობის მიერ ახლახან მიღებული დებულება საიჯარო ურთიერთობათა შესახებ, რომლის ქვაკუთხედია მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულებების უთუო შესრულების გარანტიები. აქ სამი ძირითადი პირობის დაცვას ვესწრაფვით: მოიჯარისთვის პროდუქციის მიყიდვის მოცულობის დადგენა ვადების მიხედვით, საქონლის ხარისხი, მისი სახეები და ა. შ.

ამ სფეროში ყველაზე მგრძნობიარე მექანიზმია პროდუქციის დანახარჯების ახალი ნორმატივებით დარეგულირება. მეურნეობა უკვე მერამდენე წელია საკუთარი სახსრებით არა მარტო ძირითად დანახარჯებს ფარავს, არამედ რენტაბელობის იმ დონეს აღწევს, რომელიც გვაძლევს წარმოების შემდგომი გაფართოებისა და მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ფონდების ფორმირების საშუალებას. უკვე მეათე წელია მეურნეობის 10 კომპლექსურ-მექანიზირებული ბრიგადა იჯარის პრინციპით მუშაობს. ანაზღაურებაც საბოლოო შედეგების ვალობაზე ხდება.

შარშანდელი საგეგმო დავალებები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მივიღეთ ფულადი ამონაგები 6 მილიონ 483 ათასი მანეთის ოდენობით, რაც დაგეგმილს სჭარბობს. მოგებამ 2 მილიონ 566 მანეთს მიაღწია, ერთი მუშის წლიური საშუალო ხელფასი 3103 მანეთს გაუტოლდა, გეგმიური 2584 მანეთის ნაცვლად. ერთი მექანიზატორის საშუალო წლიურმა ხელფასმა 10188 მანეთი შეადგინა. საშუალოდ თვეში ეს უდრის 926 მანეთს, ხოლო დამხმარე მუშისთვის — 365 მანეთს, ცალკეული მექანიზატორების გამომუშავებამ 1200 მანეთსაც მიაღწია. ეს მონაცემები საკმაოდ მყარ ბაზას ქმნის საიმისოდ, რომ წლეულსაც კოლექტივი ნაყოფიერად, კარგი ტონუსით გაისარჯოს.

—რამდენადაც ვიცით, მეცხოველეობას არსად არა აქვს დალხენილი ცხოვრება. რა საბაზისო მონაცემებით იწყებთ მიმდინარე სამეურნეო წელს?

—გასული წლის დამლევისათვის ხელშესახები საკვები ბაზა მოვიმარაგეთ. ამან განაპირობა მეცხოველეობის პროდუქტების და ერთწლიანი კულტურების წარმოებისა და სანელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებები. ასევე დეკემბრის თვეში იქნა დაჭერილი დროული თადარიგი ჩაის პლანტაციების მომზადებისათვის. ჩვენი მუშების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდა 800 ჰექტარზე, კულტივაცია—გაფხვიერება, დრენაჟების ამოწმენდა, სასუქების შეტანა, შპალერული გასხვლა-გაფორმება და ა. შ. ერთწლიანი კულტურების დასათესი 50 ჰექტარი. მიწის ფართობზე პირველი ხვნა და სასუქების შეტანა დამთავრებულია. სტაბილური მაჩვენებლებით აღინიშნა მეცხოველეთა საქმიანობა ამა წლის პირველ კვარტალში. ხორცისა და რძის წარმოების და ჩაბარების დაგეგმილი მოცულობები სრულდება.

—რა ღონისძიებები ხორციელდება სოფლის სოციალური კეთილმოწყობის მიზნით. როგორც ცნობილია, ამ სფეროში ზუგდიდელებს კარგი გამოცდილება დაუგროვდათ.

—ახალს არაფერს ვამბობთ. ნაყოფიერ შრომას მუშაკების კარგი განწყობა უსწრებს წინ. ამ ორი ფაქტორის დაშორიშორებას არც წლეულს ვაპირებთ. შეანელო ამ კუთხით ყურადღება, ეს ნიშნავს ცივი წყალი გადაასხა ადამიანების საგანგებო შემართებას დამოუკიდებლობისაკენ მავალ საქართველოში. შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვიღონებთ შრომისა და ყოფის პირობების სტაბილიზაციისათვის. შარშან დაწყებული სამ ღუმელიანი ჩაის ფაბრიკა წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. 6 კილომეტრზე ჩატარდება შიდა გზების შავი საფარის მშენებლობა. დაგეგმილი გვაქვს სხვა ქმედითი ზომების გატარება ეკოლოგიური და დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებისათვის. პრობლემები, რა თქმა უნდა, თავს გვახსენებს ბევრ კიდევ სხვადასხვა თავმოუბმელი საკითხები, რომელთაც კრიტიკულად აღქმა სჭირდება. მაგრამ ვფიქრობთ, თანდათან ყველაფერს დავძლევთ. ამის გარანტიას გვაძლევს კოლექტივის ერთსულოვნება და ჩვენი მუშაკების წადილი იაზროვნონ და იმოქმედონ ახლებურად.

მშრომელთა წერილებიდან

## დრო მიდის, უკეთესობა არ ჩანს

წარმოუდგენლად დაიძაბა მდგომარეობა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. უბირველეს ყოვლისა, მე ჩემი სამშობლოს, საქართველოს მდგომარეობა მაწუხებს. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ოსების საკითხი სამაჩაბლოში. ისე კი, საჭიროა გონიერმა ოსებმა მოუხმონ თავიანთ ხალხს ნიშვიდისაკენ, დროა მიხვდნენ, რომ ყველა რესპუბლიკას უფლება აქვს უკანონოდ შექმნილი ავტონომიები გააუქმოს, თვითვე მოაგვარონ საშინაო საქმეები.

დემოკრატია ანარქიას როდი ნიშნავს. ანარქიამ კი მოიცვა მთელი ქვეყანა. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა უნდა აგონ პასუხი თავისი ხალხის წინაშე მათ უნდა მიეცეს საშუალება დაამყარონ წესრიგი ყველა სფეროში.

განსაკუთრებულ ზრუნვას და მოწესრიგებას საჭიროებს განათლების სფერო, აქ ხომ ჩვენი მომავალი იჭედება.

ვინც ხელს უშლის წესრიგსა და დისციპლინას, ისინი სამართლიანად უნდა დაისაჯონ. დაუოვნება გაუმართლებელია.

თ. ლურჯაია,

პედაგოგი

# სოფლად საიჯარო ურთიერთობის დანერგვა— მთავარი და გადამწყვეტი

საანგარიშსწორებო ფასში თავს იყრის პროდუქციის წარმოებაზე გათვალისწინებული ყველა პირდაპირი დანახარჯი. ესენია: შრომის ანაზღაურება დანარიცხებითა და ხოცდაზღვევის ანარიცხების ჩათვლით, თესლის, საკვების, სასუქების, შხამქიმიკატების, საწვავ-საცხები მასალების, მედიკამენტების ღირებულება, ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია და მიმდინარე რემონტი, აგრეთვე სხვა პირდაპირი დანახარჯები, რომელიც შეიძლება მოიჯარემ გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის საწარმოებლად. საანგარიშსწორებო ფასს გამოკლებული ყველა ზემოთ აღნიშნული მატერიალური დანახარჯების ღირებულება, არის მოიჯარის შემოსავალი.

დღეს, როდესაც ჯერ კიდევ ხრსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო რესურსებში მიწოდების აუცილებლობა, მოიჯარის მიერ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოცულობის ზევით პროდუქციის წარმოება ერთობ შეზღუდულია, რაც რა თქმა უნდა არსებით გავლენას ახდენს მის მატერიალურ დაინტერესებაზე, ამიტომ საჭიროა პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთა განაწილდეს თითოეულ მოიჯარეზე რეალური პირობების გათვალისწინებით. მხედველობაშია მისაღები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების დონე, მრავალწლიანი ნარგავების მოხავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ე. ი. ყველა საიჯარო შრომითი კოლექტივი თანაბარ პირობებში უნდა იქნას ჩაყენებული.

საიჯარო შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელი მეიჯარესთან ხელშეკრულების დადების შემდეგ თვითონ წყვეტს მის წევრთა თანხმობით შრომის ორგანიზაციის ანაზღაურებისა და დასვენების საკითხებს. თუ აგროტექნიკური და ზოოვეტერინალური მოთხოვნების დარღვევით სრულდება სამუშაოები მისი გამოსწორება ხდება მოიჯარის ხარჯზე. დარღვევის სახეს ადგენენ დარგის სპეციალისტები სათანადო აქტით.

იჯარით მუშაობის პერიოდი მოიჯარეს ეთვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟში.

საიჯარო ურთიერთობის შესახებ ამჟამად მიღებულ მთავრობის დადგენილებაში სხვა სიახლეებთან ერთად უნდა აღინიშნოს მოიჯარის სოციალური გარანტიების აუცილებელი დაცვის პირობები. მაგალითად სტიქიური უბედურებით ქონების გაფუჭების შემთხვევაში მოიჯარე თავისუფლდება იჯარის ქირისაგან, ხოლო გაწეული შრომის ანაზღაურება ხდება სადაზღვევო ფონდიდან. სიახლეა ისიც, როცა კოლმეურნეობა ან მეურნეობა თუ არ შეასრულებს მოიჯარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების გაწევა), იგი მოვალეა ამ მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების ღირებულება აუნაზღაუროს მოიჯარეს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით.

გაწეული ხარჯებისა და მიღებული პროდუქციის შესახებ მოიჯარაზე იხსნება პირადი ანგარიში ორ ცალად. აქედან ერთს აწარმოებს მეიჯარე, მეორეს კი თვით მოიჯარე. რა თქმა უნდა ეს მომენტი გლეხს ნაწილობრივ უჩვეულო სურათის წინაშე აყენებს, ვინაიდან იგი არაა მიჩვეული დანახარჯების აღრიცხვის ასე რომ ვთქვათ, „საკუთარი ბუღალტერიის“ წარმოებას. უწინ მისი ურთიერთდამოკიდებულება კოლმეურნეობის ან მეურნეობის ხელმძღვანელებთან ჩვეულებრივი სქემით წარმოებდა: გააკეთე ისე, როგორც ნაბრძანებია, და გლეხიც ბრძანებას ასრულებდა, მაინცდამაინც არც ძალიან იტეხდა თავს მუშაობისას. ახლა სიტუაცია შეიცვალა —გლეხმა უნდა იფიქროს, იანგარიშოს, ეძიოს სარგებელი, იყოს აქტიური მხარე, როგორც იტყვიან უფლების სუბიექტი და არა ობიექტი. ახლა მას გარკვეული ცოდნაც სჭირდება, რათა თვალყური ადევნოს გასავალსა და შემოსავალს, განსაზღვროს მოგება, ასე რომ საიჯარო კოლექტივის ხელმძღვანელი თუ სხვა მოიჯარე მოვალეა ყველაფერი ეს იცოდეს, უცოდინარობა ამ საქმეში კი ხშირად იჯარის მიზნის რღვევას იწვევს და ძალზე სამწუხაროა, რომ [illegible] საქმიანი, შრომისმოყვარე ხალხი არასაკმარისი ცოდნის გამო იძულებულია მიატოვოს საინტერესო, საჭირო საქმე.

თუნდაც ამიტომ საიჯარო ურთიერთობის დანერგვასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნული კომისიების შექმნა აუცილებლობითაა გამოწვეული. მათ უნდა შესძლონ ჩაატარონ სისტემატური მუშაობა თავიანთ შრომით კოლექტივებში სამართლებრივი და ეკონომიკური ცოდნის მინიმუმის დასაუფლებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გლეხმა უნდა იცოდეს კანონები, მას უნდა შეეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა, დიალოგის გამართვა ადმინისტრაციის წარმომადგენელთან, როგორც თანასწორთან.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია სოფლად საიჯარო ურთიერთობის ყველა მომენტზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, დღევანდელ ეტაპზე წარმოებითი ურთიერთობის მხოლოდ ამ ფორმის განვითარება თუ მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოცულობის გადიდების საქმეში სასურველ შედეგს.

ქამაზ ცირამუა.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „ოდიში“ № 28.

# სოფელში აიგება ეკლესია

არა, ნარაზენელ გლეხკაცს ნამდვილად არ ესწავლება მშობლიური მიწის სიყვარული, შრომის ყადრი და საუკუნო საზრუნავ-სატკივარის გათავისება. აკი ამიტომაცაა, რომ აქ თითქმის ცხვლა შეძლებულად ცხოვრობს, ხოლო სოფელს კეთილმოწყობილი გზა არ აკლია და კულტურის სახლი, სკოლები და სავაჭრო ცენტრი, ხიდ-ბოგირები თუ სასმელი წყალი... ყველაფერს ვერც ჩამოთვლის კაცი და, ვფიქრობთ, არცაა საჭირო.

როგორც კოლმეურნეობის თავკაცმა მიხეილ ლომაიამ გვითხრა, ნარაზენელები შარშან, რიგი სირთულეების მიუხედავად, საკმაოდ კარგად გაისარჯნენ. აი, რამდენიმე ფაქტობრივი მონაცემი: 2690 ტონის ნაცვლად მოკრეფილ იქნა 8201 ტონა ჩაის ფოთოლი. აწარმოეს 80 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, ახევე გათვალისწინებულზე მეტი აბრეშუმის პარკი, ტუნგი, ხოხბნეული.

—სიმინდის მოსავალზე რას გვეტყვით?

—ჩვენთან სიმინდი სამარცვლედ ითესება 160 ჰექტარზე. შარშან ჰექტარიდან საშუალოდ მიღებულ იქნა 40 ცენტნერამდე, იცით? ეს მაჩვენებელი კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ყველას ერთნაირი მონდომებით ემუშავა და არ ყოფილიყო სიმინდის დატაცება. ზოგიერთმა უნებართვოდ, ყოველგვარი გაფორმების გარეშე სახლში წაიღო სიმინდი და ჩალა. ამავე მიზეზით ვერ შესრულდა სოიოს წარმოების დავალებაც.

—რესპუბლიკის აგროკომპლექსში მეცხოველეობა, შეიძლება ითქვას, „აქილევსის ქუსლია" თქვენთან რა მდგომარეობაა ამ მიმართებით?

—სხვა წლებთან შედარებით ამ სფეროში სატრაბახო არ გაგვაჩნია, რაც განპირობებულია რიგი ობიექტური მიზეზებით. მთავარი ხელშემშლელი პირობაა კომბინირებული საკვების დეფიციტი. თავად განსაჯეთ, გამოზამთრების პერიოდში ანუ ბოლო ხუთი თვის მანძილზე მიღებულია 30 ტონამდე კომბინირებული საკვები, ფაქტობრივად კი საჭირო იყო 220 ტონა. მეორე საგულისხმო მომენტი: ჩვენ ბლრე გვეთესა რესპუბლიკის გარედან შემოტანილი საუკეთესო ჯიშის მრავალწლიანი ბალახები და თითოეული ჰექტარიდან ვღებულობდით 30 ტონამდე მწვანე მასას. ამჟამად, ბოლო 2-3 წელია ვთესავთ რესპუბლიკაში გამოყვანილ თესლს, რომელიც დადებით ეფექტს არ იძლევა.

—წლეულს რა კონკრეტული სიახლეებია მოსალოდნელი თქვენი სოფლის ცხოვრებაში?

—როგორც ცნობილია, წლეულს კოლმეურნეობა მთლიანად გადადის საიჯარო ურთიერთობაზე. ვფიქრობთ მუშაობის ახალ მეთოდზე გადასვლამ კარგი შედეგი უნდა მოგვცეს. საგაზაფხულო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. გარდამავალი პერიოდის არსი და მიზანი, შეიძლება ითქვას, სირთულეებიც კი ნათელია თითოეული ნარაზენელისათვის. მომავლის იმედი წამითაც არ გვტოვებს.

კონკრეტულად კი, წლეულს ვაპირებთ დავამთავროთ დაწყებული ჩაის მიკროფაბრიკის მშენებლობა. გარდა ამისა, ერთობლივი გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის თაობაზე ხელშეკრულება გვაქვს დადებული ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქალაქთან, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკის გაზრდას: კერძოდ, თუ კოლმეურნეობას ამჟამად აქვს მილიონ მანეთზე მეტი წმინდა მოგება, იგი გაიზრდება ორჯერ და უფრო მეტად.

—სწორია თუ არა ხმები, რომ სოფელში ეკლესია უნდა აშენდეს.

—თავის დროზე, სოფელში ფუნქციონირებდა ეკლესია, რაც ვერ გადაურჩა ბარბაროსულ და მოკიდებულებას და ხალხს მოეშალა სალოცავი ხატი. მაგრამ ღვთის ნებით, ნათელმა სძლია ბნელი. სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით გადაწყდა აიგოს ახალი ეკლესია. უახლოეს დღეებში ხელთ გვექნება სათანადო პროექტი და მის ხორცშესხმას წინ არაფერი დაუდგება.

—საერთო დაძაბული სიტუაცია, უწესრიგობანი, ალბათ თქვენს სოფელსაც დაამჩნევდა გარკვეულ კვალს.

—რა თქმა უნდა, ვერც ჩვენ ავიცდინეთ თავიდან ბოროტმოქმედთა თარეში. სოფელში უამრავია ქურდობის, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულობათა ფაქტები. ხალხის ტერორიზებას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ, ნარაზენელმა მშრომელებმა, მხარდაჭერისა და თანადგომის დეპეშა გავუგზავნეთ ბატონ ზვიად გამსახურდიას უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ასალაგმავად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისათვის. სოფელში წესრიგის დასაცავად შევქმენით 50 კაციანი ჯგუფი, რომელიც მილიციის უბნის რწმუნებულთან ერთად მორიგეობს ღამის საათებში.

—ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

—გმადლობთ.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გარეშე წარმოუდგენელია ცივილიზებული საზოგადოება. ჩვენში კი რა ხდება, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ავტომანქანების მოგვესხნებათ, რომ საერთოდ ხ დზე არ შეიძლება მანქანის გაჩერებაც კი, არათუ საათობით დაყენება. ყოველივე ამას არად დაგიდევენ

## უნდა მოწესრიგდეს

ყველაფერი ნებაზეა მიშვებული. განსაკუთრებით ეს ეხება ტრანსპორტის მოძრაობას.

საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიასა და შემოგარენში ისედაც ხალხმრავლობაა, ხოლო უქმე დღეებში ხომ გაუვალია აქაურობა. ყოველივე ამას ემატება კერძო მანქანის მფლობელთა თავხედობა, რადგაც არ უნდა დაუჯდეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან უნდა დააყენონ მანქანა, აქ კი ისეთი სიმჭიდროვე იქმნება, რომ კერძო ტრანსპორტი მოედანზე ვერ ეტევა და ხიდი გაუხდიათ სადგომად. კვირაპარასკევს კი სიგრძეზე ორ რიგად ჩაწკრივებულია მსუბუქი კერძო მანქანის მფლობელები.

გასულ წელს დაისვა საკითხი ბაზრის გადატანის შესახებ ფაიფურის უბნის ტერიტორიაზე, რაც ვერ გადაწყდა დადებითად, რადგან საზოგადოების სათანადო მხარდაჭერა არ აღმოაჩნდა.

ან მოწესრიგდეს ტრანსპორტის დაყენების პრობლემა. ანდა მართლაც უნდა დაისვას ბაზრის ახალ ტერიტორიაზე გადატანის საკითხი — ასეთია ფართო საზოგადოებრიობის აზრი.

არადა, ასე გაგრძელება არ შეიძლება. ველით შესაბამისი სამსახურების გამოხმაურებას.

ჯ. ტივაძე.

საწარმო და ადამიანები

## ახალგაზრდული შემართებით

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, გულმა ქუთაისისკენ გაუწია. ბავშვობიდანვე იტაცებდა სატელეფონო საქმის რთული და საინტერესო პროფესია. სულ მალე, 1934 წელს ახალგაზრდა ჭაბუკი კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმთან არსებული სახაზო ტექნიკოსების მოსამზადებელი ორწლიანი სასწავლებლის კურსანტი გახდა. სწავლის დროც მალე მიილია და ახალგაზრდა სპეციალისტი ლეონიდ ბურდაშვილი ქ. ვაგარის კავშირგაბმულობის საქალაქო განყოფილებაში დანიშნეს კავშირგაბმულობის ტექნიკური უბნის ზედამხედველად.

სიძნელეები მრავალი შეხვდა ახალბედა ტექნიკოსს, მაგრამ გულმოდგინე შრომამ წლებთან ერთად გამოცდილებაც და ოსტატობაც შესძინა. შემდეგ იგი ამავე სამსახურზე მუშაობდა სამტრედიასა და მესტიაში, ხოლო უკვე 34 წელია კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიკვანძის სისტემაში მუშაობს დაუღალავად.

ოქროსხელება ოსტატი, ვეტერანის მედლით დაჯილდოებული უშურველად გადასცემს ცოდნას ახალგაზრდობას, ასწავლის გულის ყადრსა და ფასს. წლებს თოვლის ფიფქები უხვად დაუყრია მისი თმებისთვის, თვალებში კი კვლავ ახალგაზრდული შუქი კიაფობს, რაც მგზნებარედ ათბობს და ახალისებს ირგვლივ მყოფთ.

ბ. ალშიბაია,
შრომის ვეტერანი.

რეპლიკა

## სადაც სურთ, როგორც უნდათ...

იყო დრო, როცა მოქალაქეს თავისი საცხოვრებელი სახლის წინ, ეზოში, ავტოფარეხის აშენებას უკრძალავდნენ და ეს ნაკარნახევი გახლდათ ქუჩის საერთო არქიტექტურული იერსახის ინტერესებიდან გამომდინარე. აბა წარმოიდგინოთ, რა „სახიამოვნო" სანახავი იქნება ყველამ სადაც სურს და როგორც მოეპრიანება ისე დადგას სადორე, გომური თუ საპირფარეშო... მაგრამ, მადლობა ღმერთს, ასეთ სურათს თითქმის ვერსად წააწყდება კაცი. ვის ვის და ქართველ ადამიანს არ ესწავლება, გენში აქვს კოდირებული საკუთარი ეზოკარის რიგიანად მოწყობის მაღალი კულტურა.

აი, საკუთარი ეზო-ყურეს გარეთ კი, ანუ საერთო-საზოგადოებრივ ტერიტორიაზე, ცოტა სხვანაირადაა საქმე.

არ იფიქროთ თითქოს წარსულს მივტიროდე, მაგრამ ხომ ფაქტია, მეგობრებო, რომ ჩვენი ქალაქი თანდათან უსახური ხდება, დღითი-დღე ეცლება პეწი და კოლორიტი, ფერი უხუნდება. რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ალბათ საერთო ეკონომიკურ სიდუხჭირეზე უფრო პიროვნული სენი—სახელმწიფო საკუთრების დმი არაპირისუფლური, დაუდევარი, გულგრილი დამოკიდებულება, თითოეული ჩვენგანის თავკერძობა. ზოგიერთი, უკაცრავად და, ყანას ხედავს, ღობეს—ვერა.

განა გამართლებულია ის ფაქტი, რომ ქალაქის ქუჩათა ტროტუარები, ხალხის თავშეყრის ადგილები ჩახერგილია სავაჭრო დახლ-ტახტებით, წერტებით; ჯიხურებით, ხოლო კოოპერატიული თუ კომერციული მაღაზიების აშენება-დადგმა ქალაქმოწყობის არანაირ ცივილიზებულ წესებს არ ემორჩილება?!

არის ბევრი რამ, რომელიც საბედნიეროდ, ოქრო-ვერცხლის სიყვარულსა და ყოველგვარ კომერციაზე მაღლა დგას. იმ ბევრიდან ერთად-ერთი თუ არა ერთ-ერთი მაინც მშობლიური ქალაქის სიყვარულია. მაშ, გავუფრთხილდეთ, არ დავამახინჯოთ ზუგდიდის იერ-სახე.

ჯამბულ არქანია.

ყოველი ხალხ მოაზროვნე ქართველი დღეს იმის ცდაშია, როგორმე იპოვოს თავისი ადგილი ახალი საქართველოს მშენებლობაში. პრობლემები კი მართლაც თავზე საყრელი გვაქვს. საითაც არ უნდა გაიხედო ება, წარსული შეცდომებისა და დანაშაულობების შეცნობა, საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ოპტიმალური გზების ძიება.

ახალმა ეროვნულმა მთავრობამ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორი გეზი აიღო, რადიკალური გარდაქმნების სწორად გატარებული პოლიტიკა დააფუძნა გარდამავალ პერიოდზე. მოგვიწევს ურთულესი ისტორიული მონაკვეთის გავლა. სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხერხდეს მართვის და წარმოების ძველი, ავტორიტარული სტრუქტურების შეცვლა და ახალი მექანიზმების ჩანაცვლება.

რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ ქვეყნის განახლების ყოვლისმომცველი პროგრამა წარმატებით განვახორციელოთ? განა ბევრი მკითხაობაა ამისთვის საჭირო. ყოველმა ჩვენგანმა, რა უბანზეც უნდა გვიწევდეს მუშაობა ხელები უნდა წავიკაპიწოთ და კეთილსინდისიერად გავისარჯოთ. გვეყო ამდენი ლაპარაკი, მოწოდებები, და და კამათი ერთმანეთთან, არაფერი რომ არ ვაქვეთ ურთიერთძიძგნასა და ლანძღვაზე. ახლა მთავარია ყოველმა ჩვენგანმა გამოძებნოს კონკრეტული საქმე და პრაქტიკულად წაადგეს გაპარტახებულ სამშობლოს. ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი ზუგდიდშიც, სოფლად, თუ ქალაქად. განსა-

ხალხი ფიქრობს, სჯის

## საღად შევაფასოთ მოვლენები

დო, გულის შემაღონებელ სიძნელეებს, უწესრიგობას, დაქვეითებულ ეკონომიკას, უყურადღებოდ მიტოვებულ ნაკვეთს, მოუწესრიგებელ გზებსა და ხიდებს, გაბინძურებულ თხრილებს ნახავ. თავს იჩენს წლობით გამეფებული ბიუროკრატიის, უთაობის, თვითნებობის შედეგები. ადამიანებს შერყეული აქვთ სოციალური ჰარმონიის გრძნობა, რაც უმთავრესი შემკრავი ძალაა ცხოვრებისა.

დიახ, უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული რეჟიმისაგან, რომელიც ძირითადად ცენტრის პოლიტიკას, ნებას გვახვევდა თავს. ეს ყოველივე მიმართული იყო რესპუბლიკის სულიერი და ეკონომიკური პოტენციალის თვითნებური რეალიზაციისაკენ. ბოლო წლებში დაიხვეწა სახიკეთო ძვრები. ხოლო ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება

კუთრეული ყურადღება ხვდება ახალგაზრდების დასაქმების ორგანიზაციას. დღევანდელობა მათ უნდა შექმნან. მათ უნდა აღორძინონ ქართული სოფელი, ძირ-ძველი ტრადიციებით დაკნინებული და შეურაცხყოფილი ცნებები, მათ უნდა მოუარონ ჩვენს ტყეებს, წყლებს, მათ უნდა დარეკონ ზარის და მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიურ მიწაზე განახლებული ეროვნული სკოლის პირველი ზარი, ერთი სიტყვით, გმირული შრომა მის ასპარეზი ყველასათვის მოიძებნება. ოღონდ გული გულობდეს. დიდოსტატი კონსტანტინე ვავიხსენოთ: „შრომამ უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე".

ლ. ხუხულავა,
პოლიგრაფისტი

## ექიმი გვირჩევს

# ფრთხილად: გრიპი საშიში დაავადებაა!

ზამთრის არათანაბარმა ცვალებადობამ, ჰაერის დაბინძურებამ, რადიაციული დონის მომატებამ, არასწორმა კვებამ ხელი შეუწყო განსაკუთრებული ფორმის გრიპის გავრცელებას. იგი ხასიათდება ძლიერი ინტოქსიკაციით, სისუსტით, ინტენსიური თავის ტკივილით, რომელიც ძირითადად შუბლის მიდამოშია ლოკალიზებული. გამოხატულია თავბრუსხვევა კუნთოვანი სისტემის სისუსტე, სახსრების ტკივილი, ძლიერი ოფლიანობა. მაღალი ტემპერატურა 5-7 დღეს გრძელდება და სიცხის საწინააღმდეგო მკურნალობის სტანდარტულ მეთოდებს თითქმის არ ემორჩილება. გრიპით დაავადებულებს სახე წამოწითლებული აქვთ, თვალის სკლერის სისხლძარღვები კი გაფართოებული, გაწითლებული. თავიდან აღენიშნება გამონაყარი ტუჩის მიდამოში და ცხვირის ნესტოებზე. მოგვიანებით კი ტიპიური გრიპისთვის დამახასიათებელი მოვლენები: სისველე ცხვირში, ხველა, ცემინება, თეთრი ფერის გამონადენი ნელ-ნელა სქელდება და ფერი იცვლება,— ეს უკვე თანდართული ინფექციის შედეგია.

[illegible] მური, დასაწყისში მშრალი, შემდეგ კი უხვი ნახველით. გულმკერდის არეში აღენიშნება ჩახჩხვის შეგრძნება. ტკივილი ხველის დროს.

გრიპის ეს ფორმა მძიმე გართულებების სიხშირით ხასიათდება. იგი ელვისებურად და მძიმე ინტოქსიკაციით მიმდინარეობს ახალშობილებსა და ჩვილ ბავშვებში, რაც ორგანიზმის თავდაცვითი სისტემის არასრულ ფასოვნებითაა გამოწვეული.

უყურადღებოდ დატოვებული გრიპი დაავადების დაწყებიდან რამდენიმე საათში შეიძლება ფილტვების ანთებაშიც გადაიზარდოს, ამიტომაც დიდი სიფრთხილე მართებთ ახალშობილთა მშობლებს. შეიძლება მაღალი ტემპერატურის ფონზე კრუნჩხვებიც განვითარდეს, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სიცხის დამწევი საშუალებების: ანალგინის, პარაცეტამოლის გამოყენება.

გრიპის გართულების ერთ-ერთი ფორმაა ჩახლეჩილი ხმით ლარინგიტი. იგი ვითარდება ხორხის ლორწოვანი გარსის და სახმო იოგების გამოხატული შესივებით. კრუპი ვითარდება მოულოდნელად, ხველა ხდება მყეფარი, სუნთქვა გაძნელებული, ზოგჯერ აღინიშნება სუნთქვის მწვავე უკმარისობა, რაც შეიძლება მძიმე შედეგითაც დამთავრდეს.

ხშირად ვირუსს თან ერთვის მეორადი ინფექცია, რაც განსაკუთრებით ართულებს ამ დაავადების მკურნალობას. გრიპის პროფილაქტიკის უნივერსალური საშუალებაა ინტერფერონი. ეს პრეპარატი მოქმედებს როგორც გრიპის, ისე სხვა ვირუსებზეც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რადგანაც გრიპი სწორედ ჰაერ-წვეთოვანი გზით ვრცელდება. თუ ოჯახში არის ავადმყოფი, საჭიროა მისი იზოლაცია, იგი უნდა მოვათავსოთ მზიან ოთახში და ოთახი დღეში რამდენიმეჯერ გავანიავოთ, დავასუფთაოთ სველი წესით. მომვლელი ავადმყოფთან კონტაქტში დოლბანდით უნდა იმყოფებოდეს, რომელიც არანაკლებ რვაფენიანი იქნება და იცვლება ყოველდღე.

გრიპის მკურნალობა წოლითი რეჟიმითა და სიმშვიდით იწყება. აუცილებელია დიეტაც. სასურველია რძის ნაწარმი, მცენარეული საკვები. დიდი რაოდენობის სითხეების მიღებაც. დღე-ღამეში 1-2 ლიტრამდე (ჩაი ლიმონით, ასკილის ნაყენი, წვენები, ხმელი ხილის კომპოტები, თბილი რძე მინერალური წყლებით) შაქრის მაგიერ კი უმჯობესია თაფლი. უხვი სითხე შეამცირებს მძიმე ინტოქსიკაციას, რომელსაც იწვევს გრიპის ვირუსების სისხლში გადასული ტოქსინები.

დაავადების დასაწყისში მიზანშეწონილია ინტერფერონის გამოყენება, რომელსაც აწვეთებენ ყოველ ორ საათში ერთხელ, ორ-ორ წვეთს 2-3 დღის განმავლობაში. კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე რემანტადინის და „ანტიგრიპინის" ფხვნილის გამოყენება, რომელსაც ექიმი გამოგიწერთ.

წინ [illegible] საშუალებებით ტემპერატურის დაცემა არ იძლევა თერაპიულ [illegible] შემცირდება ინტ[illegible] მოკლდება ცხელების პერიოდი, ამიტომაც ამ საშუალებების ხმარება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტემპერატურა 38,5 გრადუსს ზემოთაა. ტემპერატურული რეაქცია არის ორგანიზმის თავდაცვის უნარი, რომლითაც იგი ებრძვის ინფექციას. 38,5 გრადუსის ზემოთ სიცხე უკვე საშიშია, რადგანაც მას ყველა ორგანიზმი ვერ უძლებს.

ანტიბიოტიკებისა და სულფანილამიდების დანიშვნა გაურთულებელი გრიპის დროს მიზანშეუწონელია. ისინი, პირიქით ამწვავებენ გრიპის მიმდინარეობას, ამიტომ ექიმის რჩევის გარეშე მათი ხმარება არ შეიძლება.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ სწორი და დროული მკურნალობა, პროფილაქტიკა თავიდან აგვაცილებს გრიპსა და მის გართულებებს.

**ზ. უბერი,**
რაისაავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგე.

---

**რედაქტორი**
**ა. ჯანტურია.**

---

## მილოცვები, სურვილები

უხათნოეს და ყველასათვის ყურადღებულ ქალბატონს ნანა ეჟარშიას ვულოცავ დაბადების დღეს. დღეგრძელობას და მხნეგრძელობას ვუსურვებ. ღმერთო, კეთილად აუხდინე ყველა ნაოცნებარი.

მანანა ბიბვაია.

---

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ა. ბუკიას სახელობის №2 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991 სასწავლო წლისათვის. ათკლასდამთავრებულთა ბაზაზე 8 თვიანი სწავლების ვადით მღივან-მემანქანის სპეციალობაზე (ერთი ჯგუფი).

სწავლა დაიწყება 10 მარტს. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 30 (ოცდაათი) მანეთის ოდენობით.

სასწავლებელში მდივან-მემანქანის სპეციალობაზე მიღებული მოსწავლეებისათვის სწავლა უფასოა. მოსწავლეებს, რომლებიც დაეუფლებიან პროფესიას. მიეცემათ დიპლომი. სასწავლებელში სწავლის პერიოდი ჩაითვლება საერთო და უწყვეტ შრომის სტაჟად. ყველა კურსდამთავრებული, სასწავლებელში მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით განაწილდება სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში.

ასევე 10 მარტიდან სწავლა დაიწყება „ბ", „ც" კატეგორიის მძღოლების მოსამზადებელ კურსებზე. „ბ" და „ც" კატეგორიის მძღოლების მოსამზადებელ კურსებზე სწავლა სამეურნეო ანგარიშზეა, სამუშაოდან მოუწყვეტლივ. სწავლის ხანგრძლივობა 5 თვეა. მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე ფაკულტეტის ჩვენებით, განათლების მოწმობა (დედანი); ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა №286, 8 ცალი ფოტოსურათი (3X4), და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. სასწავლებელში ჩაირიცხებიან 17-დან 30 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები. განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა. დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლებლის დირექციას. მისამართი: ქ. ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი №3; ტელეფონი 2—82—87.

---

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის დაფნის კომბინატი მიმდინარე წლის 1 მარტიდან აწარმოებს ხმელი დაფნის ფოთლის შესყიდვას მოსახლეობიდან. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1 კგ ხმელი დაფნის შესასყიდი ფასი შეადგენს 8 (რვა) მანეთს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხარისხს. დამზადებული ხმელი ფოთოლი უნდა პასუხობდეს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

მიღება იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირისა. ანგარიშსწორება ადგილზეა ჩაბარებისთანავე.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, დგებუაძის ქ. №23. ტელეფონი: 2—21—49, 2—49—47, 2—18—64.

---

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი **ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი** (კიევიდან) 1 მაისამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24, ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაშვებულია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

---

მეუღლე თალიკო. შვილები ტარიელი. მირიანე. ეკა. ნინო. ჯულიეტა, ვლადიმერ როგავები. დები: თამარა. ქსენია. ბუცა. ზინა. სიძე ტერენტი ხუბულავა. დისშვილები: ჯუმბერი. ჯემალი. ნაირა. როზა ჩუხუები. ავთო კვარაცხელია. მურთაზი ემზარი. ქეთო. ინგა ხუბულავები. ბადრი თირქია. სიდედრი ლილი გეთია. ცოლისდები: ოლგა. ბუელუ. ფაშუ. ცოლისძმები: ღუღუნი. ოთარი. მირიანე. ომარი გეთიები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**კაპიტონ მელიტონის ძე როგავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9. 10 მარტს. დაკრძალვა 12 მარტს სოფელ ყულიშკარში.

---

1974 წლის ჯუმის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები იუწყებიან ყოფილი მასწავლებლის

**ეთერ ჯანჯღავა-დარახველიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექცია. პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით იუწყება

**გოგუცა პლატონის ასულ ჭკადუა-გოგუას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თალიკო. შვილები: მერაბი. მარინა. შვილიშვილები: ეკა. მაიკო. ირაკლი. გივი, ძმა გურამი. და დოდო. რძლები: მანდო. მარინა. ნანი. იამზე. ციური. ძმისშვილები: ტარიელი. მანანა. დისშვილი ელგუჯა. დეიდები: სამიკო. ჟენია. სიძეები: ზაურ ახვლედიანი. ტრისტან ხუბუა. რომა ბერბიჭაშვილი. ცოლისძმა ლადო. ცოლისდა დალი. მეზობლები, ვასო. მაყვალა გარდაფხაძეები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**გივი ბაგრატის ძე მურუსიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12. 13 მარტს. დაკრძალვა 14 მარტს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. კოლხეთის (ყოფილი ლენინის) ქ. 205.

---

შვილი თენგიზი. და ქვაჩა. ძმა ღუღუნი. რძლები: ციური. გალია. ბაბუცა. შვილიშვილები: თამუნა. თეა. თემური კვარაცხელიები, ძმისშვილები ზაური, ანელა. ჯემალი. ზაირა. ფრიდონი. მერი. ავთანდილი. მული ოლია. მაზლი ვალერიანე კვარაცხელია. მულიშვილები: ვაჟა. გუგუშა შენგელაიები. რევიკო. რევაზი, ნაზი გაბისონიები. ია, კუკური შონიები. მაზლიშვილები: მერი. ციალა კვარაცხელიები. სიძეები: ისაკ შონია. პეტო ხვიტია, მზახალი საშა სორდია. ბიძაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნორა ჩაფას ასულ ქირია-კვარაცხელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9. 10 მარტს. დაკრძალვა 12 მარტს 17 საათზე. გამოსვენება ქუჩიშვილის ქ. 23.

---

ინგირის კოლმეურნეობის გამგეობა. აპარატის მუშაკები, სასოფლო საბჭო იუწყებიან

**ბონდო რაჟდენის ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ორსანტიის სანერგე მეურნეობის საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

**მანერა კოტეს ასულ სანდუხაძე-საჯაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის რაისაავადმყოფოს კოლექტივი იუწყება

**ელისო ბართლომეს ასულ ჭუქალია-კაკულიას**

გარდაცვალებას. და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თამარა. შვილები: მზია. ციცო, ჯუმბერი, და ფუფული, რძლები: დალი ანთია, ნორა ლაგვილავა. მარგო ფიფია. შვილიშვილები: თეა. ნათია. ჯაბა კუხალეიშვილები. ეკა. ელგუჯა ნადარეიშვილები. ძმისშვილები: შახი. იგორი. ზაირა. გული. ნიაზი. თორნიკე. ზოია. იზო. დისშვილები: ბაქური. თეზია. ჯემალ ბერაიები. ჯამბულ. ჯანიკო. რობერტი, როზა ჩიქობავები. სიძეები: მოქო ჩიქობავა. ბიჭუნა ნადარეიშვილი. ცოლისდები მანუჟა. ცაცა ხულორდავები. მზახლები: ქსენია ნადარეიშვილი. ნაპო. როზა ანთიები. ბიძაშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ცოლისძმისშვილები. ახლო ნათესავებით იუწყებიან

**სილოვან ვლადიმერის ძე კუხალეიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9. 10 მარტს დაკრძალვა 12 მარტს 5 საათზე ოდიშში (კალინინი).

---

შვილი როინ ჭურღულია, რძალი მედიკო გაბისონია, შვილიშვილები: თეა, ზვიადი ჭურღულიები იუწყებიან

**ნოკო კვატატის ძე ჭურღულიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ინდიკო. შვილები: იზოლდა. მარინა. ელგუჯა, ძმა კაკო ჭკადუა. დედამთილი ნადია. რძლები: თალიკო. ნინო. რაია. სიძეები ვალერი შარია. სლავა ფარულავა. შვილიშვილები: თეა, ლაშა. თემური შარიები. გოგა. კობა გოგუები, კობა ფარულავა. ძმისშვილები: ზურაბი. მერაბი, მანანა ჭკადუები. მაზლები: ლერი. გრიშა. მულები ნაზო, იველა, ეთერ გოგუები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გოგუცა პლატონის ასულ ჭკადუა-გოგუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9. 10 მარტს. დაკრძალვა 12 მარტს ახალაბასთუმანში.

---

და გრაფი. დისშვილები: ზაირა. ნონა. ჯემალი ჯიქონაიები ოჯახებით იუწყებიან

**ბუცა მელიტონის ასულ კაჭიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან

**როლანდ ალექსანდრეს ძე ქარდავას**

გარდაცვალებას.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-22-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-06, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12 რაიორედაქციის 2-47-09

ხელმ. ბეჭდსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №787